№ 266 დეკემბერი 14, პარასკევი 1890 დეკემბერი 14, პარასკევი № 266


| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 40 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

**ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, თუ მოსწავლეებს და თუ სხვათა, რომ ჩემი საკუთარი ეკონომიური წიგნის მაღაზია, რომელიც მქონდა სობოროს და ბულვარის მახლობლად ქუთაისს, ანდრონიკოვის მამულში, ამ ქრისტისშობის თთვიდგან გადატანილ იქმნა წმიდა ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ, კნიაჟევსკის ქუჩის თავში, რომელშიაც იყო უწინ წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა ვაჟების გიმნაზიაში ნამყოფ მასწავლებელ პეტროვისა, მამაჯანოვის და ამირაღოვის შენობის კუთხეში, ნემეცების ქუჩისა და ვიგუშინსკის აფთიაქის მახლობლად. იმედი მაქვს პატივცემული საზოგადოება არ შეწუხდება და ივლის ამ ჩემს ახალს სადგომში თუ სასყიდლად და თუ მოსაყიდავად წიგნებისა. მომავალ იანვრის პირველიდგან მივიბარებ ნახმარ წიგნებს გასასყიდად.

(10—5) მიხეილ პავლეს ძე გვარიშვილი

---


ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ
„КАВКАЗЪ".

Въ 1891 году газета „Кавказъ" будетъ выходить подъ прежнею редакціею и по прежней программѣ, ежедневно, не исключая и понедельниковъ

ПОДПСНАЯ ЦѢНА:

СЪ ЦЕРЕСЫЛКОЮ:

| Съ доставкою въ Тифлисѣ. | По Имперіи. | По почтовому союзу. |
|---|---|---|
| На годъ . . . 11 р. 50 к. | На годъ . . . 13 р. — к. | На годъ . . . 18 р. 40 к. |
| „ 1/2 года . . . 6 „ — „ | „ 1/2 года . . . 7 „ — „ | „ 1/2 года . . . 10 „ — „ |
| „ 3 мѣсяца . . 3 „ 50 „ | „ 3 мѣсяца . . 4 „ — „ | „ 3 мѣсяца . . 6 „ — „ |
| „ 1 мѣсяцъ . . 1 „ 50 „ | „ 1 мѣсяцъ . . 1 „ 75 „ | „ 1 мѣсяцъ . . 2 „ — „ |

Подписка принимается **исключительно въ конторѣ редакціи: Тифлисъ,** до 1-го декабря—уголъ Барятинской и Головинскаго, домъ Ротинова, а съ 1-го декабря—въ новомъ помѣщеніи, Пушкинская улица, домъ А. Бабанасова.

Для иногородныхъ адресовать: **Тифлисъ**, въ редакцію газеты „Кавказъ".

ОТЪ КОНТОРЫ.

Объявленія изъ Москвы, С.-петербурга, Царства Польскаго, Остзейскаго края и изъ-за границы принимаются исключительно въ Центральной конторѣ объявленій, бывшей Л. Метцль, въ Москвѣ, Мясницкая, домъ Спиридонова.


## ქართული თეატრი

სამშაბათს, 18 დეკემბერს, ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

### პატარა კახი

ისტორიული დრამა 5 მოქ. ლექსად. თხზ. აკაკი წერეთლისა.

კახის როლს ითამაშებს

ბ-ნი ხუციშვილი.

მოთამაშენი: ქქ-ნი ავალიშვილისა, ტატიშვილისა, ტარიელოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, განდელაკი, შათიროვი და სხვ.

იხატება ახალი დეკორაციები. ტანთსაცმელი ახალი.

დასაწყისი 8 საათზე

ანონსი: მზადდება ახალი პიესები: „დამარცხებულნი"—ბ. უმიკაშვილისა და „ბორკილი"—ა. სუმბათაშვილისა.

---

## ახალი ამბავი

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ტფილისის ცხენის რკინის-გზის „უსახელო საზოგადოებაში" აღმოჩნდა 50,000 მანათის გაფლანგვა. ამასთანავე მოხსენებული იყო, რომ ბელგიიდგან სარევიზიოდ მოვიდა ტფილისში კომმისია. ეხლა ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ კომმისიას აღმოუჩენია ხუთი ათას თუმანზე მეტის გაფლანგვა და ბრალდებულად უცვნია ცხენის რკინის-გზის დირექტორის თანაშემწე ბ-ნი ლიმბერგი, რომლის ხელშიც იყო ყოველივე შემოსავალ-გასავალი ცხენის რკინის-გზისა. ბ-ნი ლიმბერგი უკვე დაითხოვეს და მის ალაგას დანიშნეს მისივე თანაშემწე.

*** ტფილისის დამოქნას მიუღია ცნობა პეტერბურგიდგან იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის-გზაზე აუკრძალავთ გადატანა საზღვარ-გარეთიდგან მოტანილის და სპარსეთში გასაგზავნის საქონლისაო. საზღვარ-გარეთიდგან მოტანილი და სპარსეთში გასაგზავნი საქონელი შეიძლება გაიგზავნოს ტრანზიტით „სპარსეთში" მხოლოდ ასტრახანის გზით, სადაც საქონელს უნდა ყური უგდოს რუსეთისავე ტამოჟნამ, რათა არავის არ შეეძლოს ჩუმად გახსნას საქონლის ტვირთები და ამოიღოს საქონელი რუსეთის დამოქნაში ბაჟ-გადაუხდელიო.

*** მის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის გოფმეისტერი, დეისტვიტელნი სტატსკი-სოვეტნიკი ალექსანდრე თეოფილეს ძე ტოლსტოი გუშინ-წინ სოხუმიდგან ტფილისში ჩამოვიდა.

*** წელს პეტროვსკო-რაზუმოვსკის სამეურნეო აკადემიაში, რომელიც მოსკოვშია, გაათავა კურსი ერთმა ქართველმა, გვარად სუმბათაშვილმა, 6 სომეხმა და 70-მდე რუსმა. აქამდე ხმა იყო, რომ მთავრობას უნდა ამ აკადემიის გაუქმებაო, მაგრამ ახლა ისმის, რომ შესაძლებელია აკადემია არ გაუქმდეს, მხოლოდ მცირეოდნად შეიცვალოს მისი ხასიათიო.

*** ბაქოს ქალაქის თავი დ. ს. ს. დესპოტ-ზენოვიჩი ქალაქ ბაქოს სხვა-და-სხვა საქმეების გამო საშუამდგომლოდ კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე გუშინ-წინ ტფილისში ჩამოვიდა.

*** ექიმი ბ-ნი ბახუტაშვილი უკვე დაბრუნდა გორის მაზრიდგან, სადაც [illegible] რელად. ეხლა, როგორც ამბობენ, ყვავილი ისე აღარ არის გავრცელებული ამ მაზრაში, როგორც აქამდე იყო და ისე ბევრნი აღარ იხოცებიან ამ მოარულითაო.

*** ამ 1890 წელს ტფილისის მაზრიდგან ხაზინას უნდა აელო სახელმწიფო ძველი დარჩენილი ხარჯი—26,008 მან. 82 კაპ. და ახალი—111,271 მან. 18 კაპ., ხოლო აილო დარჩენილის ხარჯისა—14,301 მან. და 99 კაპ., და ახლისა—63,505 მან. და 3 კაპ., დარჩა კიდევ ასაღები ძველისა 11,706 მან. 53 კაპ. და ახლისა 47,766 მან. და 15 კაპ. ამოდენა ფულის აუღებლობა იმის ბრალია, რომ ამ რამდენსამე წელიწადში მოსავალიც ზედიზედ მოსცდა და საქონლის ჭირიც ძლიერ მძვინვარებდა. იმედი აქვთ, ამ თთვეშიც რამდენიმე კიდევ აილონ და ახალის წლისთვის უფრო ნაკლები-ღა დარჩეს.

*** უცხოეთის გაზეთებში სწერია, რომ გაზაფხულზე სპარსეთის შაჰი მოციქულს გაუგზავნის რუსეთის იმპერატორსა და ძღვენს მიართმევსო.

*** ველაბარში დაარსებული დედათა სამკურნალო წლეულს ას თუმნამდე ზარალს აძლევს ქალაქს. ნოემბერში ამ სამკურნალოს მხოლოდ 181 მან. და 87 კაპ. შემოუვიდა.

*** სავაჭრო მოწმობებისა ნოემბერში ქალაქს 130 მან. და 83 კაპ. შემოუვიდა, ხოლო 1 იანვრიდგან—პირველ დეკემბრამდე-კი—24,453 მან. და 45 კაპ. ამ დეკემბერში ყოველ დღე უფრო მეტ-მეტი შემოსდის ამავე მოწმობებისა.

*** მოახლოვდა შობა-ახალწლის დღესასწაულები და ქალაქის პოლი- [illegible] აწყდა, მოწმობა მოგვეცით სიღარიბისა, რომ სხვა-და-სხვა საქველ-მოქ-

---

## ფელეტონი

### წითელი ქუდი

(სურათი რკინის გზის ცხოვრებიდამ).

საღამო ხანია. სადგურის ბაქანზე ბლომა ხალხი შეკრებილა და მოძრაობაშია. ზოგი სამგზავროდ გამზადებულა და ზოგი-კი ისე, დროს გასატარებლად სადგურზე მატარებლის დასახვედრად გამოსულა და ფეხებში ედება საქმისათვის მიმსვლელ-მომსვლელს.

აგერ ხალხის მატარებელიც მოვიდა. ხალხი აირია. ზოგი გარბის და ვაგონში ბარგს მიათრევს, ზოგი ვაგონიდგან ბარგით დატვირთული ჩქარობს გამოსვლას. ათი წამიც და მატარებელი გზას გაუდგა. სადგურზე დარჩენილი ხალხი სახლებისკენ გაემგზავრა... სადგურზე ჩვეულებრივი მყუდროება და სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც ხანდახან სადგურის ზარის წკარუნი-ღა თუ შეარყევდა.

სადგურის უფროსის სამუშაო ოთახიდგან გამოვიდა ბაქანზე ახალგაზდა, ეხე 25 წლის ყმაწვილი კაცი, ტრიფონა, რომელსაც დაღონებულ სახეზე ეტყობოდა, რომ უფროსს სანუგეშო არა ეთქვა-რა.

— ვერ იქნა და ვერა! წაილუღლუღა ტრიფონამ და სადგურის მახლობელ დუქნისკენ გაუხვია; დუქანში შესვლისთანავე ერთი ბოთლი არაყი მოითხოვა. ნახევარ ბოთლი დაზგასთანვე ფეხ-დგომელა გადაჰკრა... მიიხედ-მოიხედა დუქანში, თითქო ეშინიან, ხომ არავინ დამინახაო, და იქვე მაგიდას მოუჯდა. იდაყვზე დაეყრდო და არყით შეხურებულ ფიქრებს მისცა თავი.

— რაღა კაცი ვარ, თუ ის ხელიდგან გამომეცალა. მერე, რისთვის? იმიტომ რომ შემწე არა მყავს... შეძლებაც ხელს არ მიწყობს და წითელი ქუდი-კი იგვიანებს... არა! განა დუსიამ-კი არ იცის, რომ ღირსი ვარ? იცის, მაგრამ... ოჰ! ეს დაწყევლილი წითელი ქუდი! ნუ თუ შენ უნდა მოუშხამო ჩემი სიცოცხლე? ეჰ! ასეა და რას იზამ, უწითელ ქუდოდ რიგიანად არავინ მელაპარაკება!.. ამ ფიქრებში ტრიფონამ შეუმჩნევლად დანარჩენი არაყიც გამოცალა... ეხლა-კი მეყოფაო! სთქვა ტრიფონამ და დუქნიდგან გამოვიდა. გარეთ შედგა, თითქოს შეყოყმანდა რაღაცას და მერე ისევ წასვლა ამჯობინა.

—

სადგურის აღმოსავლეთ მხარეს ორსართულიანი სახლია გაჭიმული... ამ სახლში სადგურზე მოსამსახურენი სცხოვრობენ. დაბლა სართულის ორ განაპირა ოთახში სდგას, ხანში შესული, უფროსი გზის ყარაული თავის ერთად-ერთი ქალი დუსიათი. დათია აგერ 12 წ. რაც გზაზე ჰმსახურობს, ამ სამსახურში ჯეროვნად გამოიწურთნა, გზის ავ-კარგიანობა შეისწავლა... დათია ყოველთვის თვალ-ფხიზლად იყო და ხელ-გაუთბობლად ძნელად ირჯებოდა. მოხერხებულმა დათიამ კარგი შეძლება შეიძინა. ეხლა სიღარიბე აღარ აწუხებდა, იმის დარდი მხოლოდ დუსია იყო და იმის ფიქრს მისცემოდა, რომ დუსიასთვის შესაფერი ქმარი ეშოვნა და დაებინავებინა.

დუსია სულ 19 წლისაა. შინაურულად, მამის შემწეობით წერა-კითხვა ისწავლა, და ცხონებულმა დედამაც სამკვიდროდ ჭრა-კერვის ცოდნა დაუტოვა თავის შვილს. თუ მაგრე რიგად ნასწავლი არ იყო დუსია, სამაგიეროდ სილამაზე, მოხდენილი ტანი და სიკეკლუცე არ აკლდა.

დუსიას მხოლოდ ის ნაკლი ჰქონდა, რომ მეტის-მეტი კოხტაობა და პრანჭიობა უყვარდა... თუმცა-კი გასამტყუნარი თითონ არ იყო. შეძლებულ მამის ნებიერს, მერე ლამაზს ქალს, სადგურის ახალგაზდობა თავს ევლებოდა და ყველა იმის დაახლოვებას სცდილობდა.

ნაცნობებს შორის დუსიასთან უფრო ტრიფონა და იმის თანამოსამსახურე ნიკო იყვნენ დაახლოვებულნი. დუსიაც ამ ორ ახალგაზდათ უფრო თანაუგრძნობდა, რადგან მამისაგან სულ ამ ორი ყმაწვილის ქება ესმოდა.

დათიას ეს ორი კაცი ჰქონდა სახეში დუსიას საქმროდ. მხოლოდ დროს ელოდდა. ორივეს ჯერ მცირე ადგილი ეჭირათ და უცდიდა დროს, რომ სამსახურში წინ წავიდნენ... სწორედ ამიტომ არ გაიკვირვა დათიამ და სიამოვნებით მოისმინა, როცა ტრიფონამ წინა ღამეს დუსია სთხოვა და თან დაუმატა.

— თქვენც იცით, რომ წარდგენილი ვარ წითელ ქუდზე და, დღეს თუ ხვალ ხომ, უეჭველად მომივა პასუხი. ისიც ხომ იცით, რომ სხვა, მახლობელს სადგურზე გადამიყვანენ, რაკი მივიღებ წითელ ქუდს.

— ძალიან კარგი, თანხმა ვარ! ვეტყვი დუსიასაც! უპასუხა დათიამ.

— რასაკვირველია, დუსიასაც უნდა ჰკითხოთ! მაშ დილაზე ხომ უეჭველად...

— ჯერ გადაწყვეტით არას ვიტყვი! როცა წითელს ქუდს მიიღებს, მაშინ... უპასუხა დუსიამ მამას, როცა დათიამ შეატყობინა ტრიფონას სურვილი.

— მეც, გადაწყვეტით არა უთხარიეა, შვილო, მაგრამ მგონი რომ ამ ორ დღეში მიიღებს! წარდგენილია უფროსისაგან.

მედო დაწესებულებაში წარვადგინოთ და შემწეობა მივიღოთო. ამ უკანასკნელს დროს ამ გვარი მოწმობა დღეში 50—60 კაცს მიაქვს პოლიციიდგან.

*** გაზ. «Прав. Вѣс.»-ში დაბეჭდილია, რომ მის იმპერატორებით უდიდებულესობას ჯემს ჩემბერსი ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩად დაუნიშნავს ბათუმში.

*** „ცხინვალიდგან სწერენ გაზ. „Кавказъ“-ს, რომ აქ 10 ოქტომბერს განყოფილება გაიხსნა კავკასიის სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისაო. თავმჯდომარედ საზოგადოებისა არჩეულ-იქმნა ა. ზავრიევი და იმის თანაშემწედ ს. მურადიანიო.

*** „Нов. Вр.“ იუწყება, რომ კავკასიის მთავარ მართებლის მობრძანებისთანავე პეტერბურგში ლაპარაკი დაიწყეს იმის შესახებ, რომ დამხმარე ბელი სამზრუნველო დაარსდეს პეტერბურგში კავკასიელ მოსწავლეთათვისაო.

*** ბარონის ქუჩაზე, ბარხუდაროვის სახლში მცხოვრებელმა, ვანქის სობორის მღვდელმა ალანიანცმა გამოაცხადა, რომ 12 ამ თვისას ღამით სადგურიდგან მოეპარეს ორი ვერცხლის გვირგვინი, ღირებული 200 მან. ქურდობა ბრალად ედება რაჭის მაზრის მცხოვრებელს გლეხს მიხეილ ალლაძეს, რომელიც შეიპყრეს და სამართალში მისცეს,

## წერილი რედაქციის მიმართ

ამ რამდენისამე თვის წინად ჩვენს მწერლობაში სხვათა შორის იყო ნათქვამი, რომ ჩვენებურს გიმნაზიებში ქართველ მოსწავლეთა რიცხვმა იკლოვო და ქართველობა ძლიერ ცოტა ასრულებს სწავლასაო. ამის მიზეზად ვინ რას ასახელებს და ვინ რას. მაგრამ ჩემის აზრით, არც ერთი დასახელებული მიზეზი ანგარიშში მოსატანი არ არის. თავი და თავი მიზეზი ქართველ ახალგაზდათა რიცხვის შემცირებისა არის პირველად, ჩვენი შვილების სხვებთან შედარებით მოუმზადებლობა, რის გამოც ვერ ეწევიან სხვებისავით სწავლის მძიმე [illegible] სისუსტე. აბა ჩვენი შვილი რიგიანად მომზადდეს და რიგიანი რჩენა-პატრონობა ჰქონდეს სასწავლებელში სწავლის დროს, მაშინ ვნახავთ, რომ სწავლის მძიმე უღელში თუ ან ერთი სხვა ტომის ამხანაგი გაუძლებს. უმაწვილი თუ კი რიგიანად სწავლობს, თვით უგულო და ურჯულო მასწავლებელსაც-კი მოაბრუნებიებს გულს. კარგი მოსწავლეა უგულო მასწავლებლის მომაქრისტიანებელი.

იქნება იკითხოთ, როგორ და რითი მოვამზადოთ ჩვენი შვილებიო, ჩვენ ყველანი დაღარიბებულნი ვართ, წელებზე ფეხს ვიდგამთ და ისე ძლივს ვცხოვრობთ. მართალია. მართალია, რომ ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი თავად აზნაურნი დაღარიბდნენ, ძლივს სცხოვრობენ, მაგრამ სასოწარკვეთილებას ჯერ არ უნდა მივეცეთ, იმედი და ხსნა კიდევ არის. ჩვენი იმედია ქუთაისისა და ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკები. მართალია, ყველა გასაჭირში ამ ბანკებზე გვრჩება თვალები, მაგრამ სწავლების საქმეს აქ პირველი ადგილი უნდა ეჭიროს. ჩვენმა ბანკებმა უმეტესი ნაწილი თავისის მოგებისა უნდა გადასდონ ჩვენის შვილების აღზრდისათვის. როგორც ტფილისში, აგრეთვე ქუთაისში უნდა დაქირავებულ იქმნას რიგიანი შენობა, რამდენსამე ოთახიანი, აქ მოიწყოს სადგომები ქართველ მოსწავლეთათვის, როგორც ამას მოითხოვს რიგი და წესი; მიენდოს რამდენსამე საიმედო და პედაგოგიაში გამოცდილს კაცს თვალ-ყურის გდება ამისთანა პანსიონისა. შეიძლება მცირედი ფასიც გამოერთვათ შეგირდებს საჭმელ-სასმლისათვის, ზოგი-კი სრულიად განთავისუფლებული უნდა იქმნას ყოველ გვარის ხარჯისაგან. თუ ჩვენ შვილთ ყოფა-ცხოვრებას, როგორც ეკონომიურის მხრით, აგრეთვე პედაგოგიურის მხრითაც, რიგიანად მოვაწყობთ, იმედი უნდა ვიქონიოთ, ჩვენის შვილების რიცხვი ერთი-ორად იმატებს ჩვენებურს გიმნაზიებში და ამას რა ზნეობრივ მოჰყვება, ეს ხომ ყველას კარგა მოეხსენება.

ან. ჟუღელი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დღევანდელს გაზ. „Нов. Обозрѣніе“-ში დაბეჭდილია პატივ საყურადღებო ფელიეტონი ბ-ნის ა. ერიცოვისა; „Изъ нашей старины“. ავტორი წერილისა ქართულს ძველს მწერლობას ეხება და ამიტომ მოგვყავს ზოგიერთი ადგილები, მით უმეტეს, რომ ჩვენთვისაც სასურველია გამოირკვეს ის საგანი, რომლის შესახებაც ბ-ნი ერიცოვი სწერს. ავტორი ჯერა სწერს, რომ წარსულს საუკუნეში რუსეთის შეძლებულნი და მდიდარნი კაცნი წიგნთ-საცავებსა და მუზეუმებს იმართავდნენ და ძველის ძველს ნაშთებს ჯიბე-სქელი ვაჭრებიც კი ხალისით ეტანებოდნენ. ამის გამო ძველი ნივთეულობანი ეკატერინე II-ის მეფობის დროს ძალიან იყიდებოდა. ამისთანა ნივთის მოვაჭრეთა შორის აღნიშნულია ვიღაც სალაყაძევი, ისტორიული ცნობები იმოწმება, რომ ეს კაცი „ეგრე ფასად ჰყიდდა ნამტვრევებს იმ ქვისას, რომელზედაც ვითომ დიმიტრი დონელს სმინებოდა კულიკოვოს ბრძოლას შემდეგ“.

გვარი სალაყაძევი, აშკარაა, ქართული შთამომავლობისაა. რადგან წარსულს საუკუნეს რუსეთში გარდასახლებულნი ქართველნი, რომელთა გვარიც მე-თი თავდებოდა, რუსულის გვარის დაბოლოვებას უმატებდნენ თავის სახელს (ფანჩულაძე—ფანჩულაძევი, ხერხეულიძე—ხერხეულიძევი და სხვ.) ალბად სალაყაძემაც თავისი გვარი სალაყაძევად გადაიკეთა. მეფე ირაკლის მიერ რუსეთის მთავრობის წინაშე ქართველ თავად აზნაურთა სიაში აღნიშნულია სხვათა შორის ამის მსგავსი გვარი თავადის სოლოღაშვილისა. ეს სალაყაძეც ზემოხსენებულ სოლოღაშვილის გვარისაგან ხომ არ წარმოსდგება? საზოგადოდ ამ სალაყაძეს ამბავი ხომ არავინ იცისრა და ხომ არავინ გამოჩნდება ისეთი, რომ ამ საინტერესო ადამიანის ბედის შესახებ შეგვატყობინოს რამეო?

ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, სოლოღაშვილი და სალაყაძე ერთმანეთში ვერ აირევა, რადგან სოლოღაშვილები ეხლაცა სცხოვრობენ ქართლში და სალაყაძეები—იმერეთში, ეს ორი გვარი სულ სხვა-და-სხვა გვარია.

შემდეგ ბ-ნი ერიცოვი კითხულობს.

მეტი რუსულს წიგნებს შორის აღნიშნულია სხვათა შორის შემდეგი წიგნი. „Похожденія новомодной красавицы Гуланданы и храбраго принца Барама. Соч. Диларгета; перевелъ съ грузинскаго Семенъ Игнатьевъ. С. П. б. 1773 года. ეს წიგნი ის ცნობილი „ბარამიანი“, სპარსულიდგან ქართულად გადმოთარგმნილი და ტფილისში გამოცემული 1880 წ., ან სხვა რომელიმე თხზულება ხომ არ არის დილარგეთისა და რა შინაარსისაა?

არ ვიცით, რა წიგნია ეს წიგნი, ხოლო ძნელად თუ დილარგეთის თხზულება იყოს, როგორც მთარგმნელი უწოდებს, ვინაიდგან დილარგეთი გმირია სარგისთმოგველის თხზულებისა, რომელსაც „დილარიანი“ ეწოდება და რომელსაც რუსთაველიც იხსენიებს

მესამე საკითხავი.

ცნობილია, რომ უფროსი შვილი საქართველოს მეფე გიორგი XII-ისა დავითი, ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრეობის დროს ლიტერატურას თვალყურს ადევნებდა და ისტორიულს თხზულებებსა სწერდა. მაგალითებრ, 1800 წ. მან გამოსცა ტფილისში ქართულს ენაზედ მოკლე საერთო ისტორია. შემდეგ 1805 წ. პეტერბურგში დაიბეჭდა რუსული თარგმანი მისის თხზულებისა: „Краткая исторія о Грузіи со временъ перваго въ оной населенія“. დასასრულ გაზ. „Кавказъ“-ში 1851 წ. (№№ 20, 21, 26, 83, 84 და 85) იყო დაბეჭდილი თარგმანი მისისავე თხზულებისა „Лѣтопись о царѣ Ираклiѣ II“. სხვა თხზულება ბატონიშვილის დავითისა ჩვენ არა ვიცით-რა. ეხლა კი შევიტყეთ, რომ 1804 წ. პეტერბურგში შემდეგი წიგნი დაუბეჭდიათ: „Новый шахъ, или переписка на персидскій вкусъ любовника съ любовницей, жившихъ при подошвѣ кавказскихъ горъ. Соч. грузинскаго царевича Давида; пер. съ грузинскаго Сергѣй Митропольскій С.П-б. 1804“. სასურველია ვიცოდეთ: ქართულს მწერლობაში იპოვება რამ ცნობა ამ თხზულების შესახებ და ხომ არავისა აქვს ზემოხსენებული წიგნი?

მეოთხე საკითხავი.

წარსულ საუკუნის დამლევიდგან მეოც-და-ათე წლებამდე პეტერბურგში არსებობდა სტამბა სომეხის იოსებ იოანესოვის, რომელმაც ცოტა წიგნი არ დაჰბეჭდა ჩვენის ქვეყნის შესახებ. სხვათა შორის ამ იოანესოვის სტამბაშია დაბეჭდილი 1812 წ. შემდეგი უცნობი წიგნი: Аллегорическая повѣсть о розѣ и соловьѣ Соч. Геламскаго; пер. Іосифъ Іоаннесовъ напеч. на россійскомъ и грузинскомъ языкахъ. С.П.-б. 1812 г.“ ხომ არავინ იცნობს ამ წიგნსა და იმის შინაარსი ხომ არავინ იცის?

რა უნდა იყოს ნეტა? მეფე თეიმურაზის მიერ დაწერილი „ვარდბულბულიანი“ ხომ არ არის?!

მეხუთე და უკანასკნელი საკითხავი:

რუსეთის ისტორიიდგან ვიცით, რომ წარსულის საუკუნის მეოთხმოცე წლებში ეკატერინა დიდის სასახლეში განზრახვა ჰქონდათ ამიერ-კავკასიის პროვინციებში ქრისტეს მორწმუნე მკვიდრითურთ ერთ დამოკიდებულ სახელმწიფოდ გაეხადნათ და ამ სახელმწიფოს მეთაურად ყოვნად უგანათლებულესი თავადი გრ. ა. პოტემკინი ოცნებობდა. ამ თავადის სიკვდილს შემდეგ იმპერატრიცა იმ აზრისა იყო, რომ ამ შეერთებულს „ქართველ-რუსთა“ სამეფოს მეფედ ირაკლი მეორე უნდა კადიაროთო, მაგრამ ეს აზრი ჯერ იმან შეარყია, რომ ტფილისს აღა-მაჰმად-ხანი დაეცა და აღაოხრა და მერე—იმპერატრიცა ეკატერინე მე-II გარდაიცვალა. ამასობაში ის ამბავი, რომ რუსეთს განზრახვა აქვს მფარველად გაუხდეს არამც თუ საქართველოს ქრისტეს მორწმუნე მკვიდრს, არამედ სპარსეთისა და ოსმალეთის პროვინციებისასაცაო და ამათი მართვა-გამგეობა მეფე ირაკლი მე-II-ს უნდა ჩააბაროსო, ინდოეთის მეტად შეძლებულ სომხების ყურთამდეც მივიდა და ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ. ერთმა მათგანმა, მადრასელმა კრეზმა იაკობ შახრიმანიანმა (მასვე სულთანის საპატიო სახელს უწოდებდნენ), აღა-მამად ხანის ტფილისში შემოსვლამდე, ერთის წლით ადრე, მომავალ „ქართველ-სომეხთა“ სამეფოს მფლობელს ირაკლის მეირფასი საჩუქარი გამოუგზავნა, მათ შორის: ძვირფასი გვირგვინი, ბრილიანტებით შემკული, და ასეთივე სკიპტრა; ამას გარდა ახალს სამეფოს დაჰპირდა უმეტესი ნაწილი თავისის

---

ეხლა-კი პირდაპირ გამოუცხადეს ტრიფონას, რომ ვიდრე ნამდვილად არ მოუვა მოწერილობა და არ მიიღებს ახალს თანამდებობას, მანამდე გადაწყვეტით არა იქნება-რა.

— თქვენი ნებაა.

ტრიფონამ დილით შეიტყო დუსიას პასუხი და ასე მოუთმენლად იმიტომ ელოდდა მატარებელს. მთელი დღე მოუსვენრად გაატარა. წამ და უწუმ საათსა სინჯავდა. ერთ ალაგას ველარ დამჯდარიყო. ან განა ხუმრობა საქმე იყო: მატარებელს იმისი ბედი უნდა გადაეწყვიტნა. იმედი მთლად გაუქარწყლდა ტრიფონას, როცა უფროსისაგან შეიტყო, რომ არაფერი პასუხიაო. გულ დათუთქულ-დაღონებულმა ტრიფონამ გულის მისაოხებელ ნუგეშად არაყი მიიჩნია და დუქანს მიატანა.

—

ტრიფონა შევიდა საზოგადო მოსამსახურეთა სადგურის ეზოში და კარებშივე შედგა. ზემო სართულის განაპირა ოთახის ფანჯარაში თავი გადმოეყო ნიკოს და დაბალ ხმაზე ღიღინებდა:

„თვალი მიჭირავს შენზედა,
როგორც მიმინოს მწყერზედა...
გაშლი ხარ თურაშაული,
აბიხარ ხისა წვერზედა...
ჯვარი ხარ პატიოსანი,
პირჯვარს დავიწერ შენზედა“...

— ნეტავი შენ! წამოიძახა ტრიფონამ, ნიკო რომ გაჩუმდა. შენა მღერი და ჩემს გულში-კი არ ჩამოიხედავ, რა ჯოჯოხეთის ცეცხლი ტრიალებს... მაგრამ, შე უბედურო, ამ გადმოკარგულ ქვეყანაში რა გახარებს!.. ეჰ, ყველას თავისი საქმე აბარია! მე რა მესაქმება სხვის ავკარგიანობასთან... აქ უცებ სადგურიდამ მომავალმა დათიამ დაინახა ტრიფონა და გამოეხმაურა.

— თქვენა ხართ, ტრიფონა?

— დიახ!

— მანდ რას უდგეხართ?

— ისე... თქვენკენ მოვდიოდი, თუ მისტუმრებთ...

— ეგ რა საკითხავია... მობძანდით.

დუსია მაგიდას მისჯდომოდა და რაღაცას საქმობდა. დათია და ტრიფონა რომ შევიდნენ ოთახში, დუსია წამოდგა ფეხზე, მიესალმა ტრიფონას, შესთავაზა სკამი და თითონ ისევ თავის ალაგას დაჯდა. მცირე ხნის სიჩუმეს შემდეგ დუსია შეეკითხა ტრიფონას:

— დღეს სადგურზე ვერ გამოვედი! ახალი ამბავი რა მოიტანა მატარებელმა?

— ჩვეულებრივ გამოიარა და გაიარა! უპასუხა თავ-ჩაღუნულმა ტრიფონამ; ყმაწვილი კაცი, თითქო სცხვენიან რისიმეო, პირს არიდებდა დუსიას. ტრიფონას მორიდებამ დუსია რაღაც ეჭვში შეიყვანა.

— დღეს როგორღაც დაღონებული ხართ! რა მიზეზია?

— ერთი და იგივე!

— რა!

— ისა, რომ პატიოსანის კაცის შრომა არა ფასდება...

— როგორ? იქნება უარი გითხრეს?

— უარი-კი არა, მაგრამ საქმეს აჭიანურებენ...

— მეც რა მეგონა!.. განა ეგ გაღონებთ? დღეს იქნება, თუ ხვალ, თქვენს სურვილს მიაღწევთ და სადაც ამდენი მოგითმენიათ, მცირე ხანს ველარ მოითმენთ?

მოთმინება-კი მაქვს, მაგრამ...

— მაგარი რაღაა! არ მესმის!

დათია აქამდის ჩუმად იჯდა. ბოლოს, თითქო თითონვე იგრძნო, რომ ახალგაზდებს ლაპარაკს ვუშლიო, მეორე ოთახში გავიდა, ვითომ-და ვახშმის თადარიგს უნდა შესდგომოდა. ტრიფონამ იხელთა დრო და თავი აიმართა.

— თქვენ ყველაფერი კარგად გესმით, მაგრამ არ გინდათ გამოტყდეთ! თქვენი პასუხი შევიტყე და სწორედ თქვენი პასუხია მიზეზი, რომ დაგვიანება ასე მაწუხებს და მაღონებს. ვინ იცის, ამ გარემოებამ თქვენი თავი მომაშოროს და მაშინ ხომ ჩემი სიცოცხლეც სიცოცხლე აღარ იქნება.

— რაებს ამბობთ, ტრიფონ!

— იმას, რომ მე მიგვიანდება და თქვენ-კი არა! თქვენ ჩემისთანა ახალგაზდას ბევრს იშოვით და მე-კი...

— აბა, მაგას რად ამბობთ! ჯერ ერთი, რომ მე ჩემის მშობლის სურვილს წინ არ გადავუდგები და მეორეც—თუ ერთხელ რაზედმე დავთანხმდი, გადათქმა აღარ ვიცი.

— მაშ იმედი მქონდეს, რომ არ მიღალატებთ?

— ვიმეორებ, რომ მშობლის სურვილსა და ჩემ სიტყვას ვერ გადაველობები-მეთქი.

— დათია თანახმაა!

— მაშ რაღა გაღონებთ...

— ის, რომ მოთმინების ფიალა ამომევსო...

— სწორედ მაკვირვებთ! თქვენცა და ჩვენც ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენ სადგურზე თუ მიიღებს ვინმე წითელს ქუდს, პირველად თქვენ უნდა მიიღოთ...

დათია მეორე ოთახიდგან გამოვიდა და ახალგაზდებმა ლაპარაკი შესწყვიტეს. ტრიფონას როგორღაც თავი დაუმძიმდა. ახლა-კი იგრძნო, რომ არაყმა გასჭრა და ცუდად არის ჩემი საქმეო. მასპინძლებს გამოეთხოვა და თავ-დამძიმებული სახლისკენ გასწია.

— შეატყე რამე? სიცილით ჰკითხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიონების და სურვილი გამოაცხადა, რომ საქართველოში მინდა გადმოვასახლო ჩემის 10,000 მონა ინდოელითურთ და პლანტაციები გავაშენო შაქრისა, ბამბისა და სხ. მეფე ირაკლი აღტაცებაში მოვიდა ამ საჩუქარით (რომლებიც 1795 წ. გაეტანა აღა მაჰმად-ხანს ტფილისიდგან) და დაპირებულის სიუხვით, შაჰრიმანიანს მიუბოძა თავადობა და ლორის სამოქალაქო (ნაწილი ეხლანდელის ბორჩალოს მაზრისა) და საჩქაროდ გაუგზავნა ინდოეთში საგანგებოდ კაცი სიგელებითურთ. ეს კაცი იყო თვით ირაკლის მდივანი, სომეხი რაფაელ დანიბეგოვი. დანიბეგოვი ტფილისიდგან 1795 წ. 15 მარტს გავიდა, სპარსეთის საზღვარს მოუხვია და ახალციხეს, არზრუმსა, მუშსა, დიარბექირსა, ბაღდადსა და ბასრაზედ გადავიდა, მიაღწია კალკუტას და ამ გზით იარა. როცა ამ მოგზაურობიდგან დაბრუნდა დანიბეგოვი, ცოცხალი აღარ დახვდა მეფე ირაკლი, რუსეთის შემოსვლის შემდეგ, როგორც სჩანს, მოსკოვში დასახლდა ეს კაცი და აქ აღწერა ქართულს ენაზედ თავისი მოგზაურობა ინდოეთში. ეს თხზულება შემდეგ გადათარგმნეს რუსულს ენაზედ და მოსკოვში დაჰბეჭდეს შემდეგის სათაურით: „Путешествіе въ Индію Рафаила Данибегова. Перев. съ грузинскаго. Москва 1815 г.“ ხომ არავინ ისურვებს ამ საყურადღებო წიგნის შინაარსის გადმოცემას დაწვრილებით?

სასურველია, რომ ძველის ჩვენის მწერლობის მოყვარულთა და მცოდნეთ ყურადღება მიაქციონ ამ საინტერესო საგანს და თუ იციან რამე, ან მოეპოვებათ რამ ცნობა ბ-ნ ერიცოვის მიერ დასახელებულ თხზულებათა შესახებ, გამოაქვეყნონ და საერთო საკუთრებად გახადონ.

◆◆

## რუსეთი

„Вѣст. Европы“-ს დეკემბრის წიგნში დაბეჭდილია საყურადღებო შინაური მიმოხილვა საქალაქო დებულების ნაკლულევანებათა შესახებ. მიმოხილვის ავტორის აზრით, უმთავრესი ნაკლულევანება დებულებისა არჩევანების წესია, რომლის ძალითაც ამომრჩეველნი სამ რიგად არიან დაყოფილნი: ამის გამო უმრავლესობა ქალაქის მცხოვრებელთა უწარმომადგენლოდ რჩება ქალაქის მართვა-გამგეობის საქმეში, იმიტომ-რომ ეს უმრავლესობა არ იხდის იმ გადასახადს, ურომლისოდაც არავის შეუძლიან არჩევანებში მონაწილეობა მიიღოს. უწარმომადგენლოდ რჩება აგრეთვე უმრავლესობა ქალაქის ინტელიგენციისა, რომლის წარმომადგენელთა შორის ძალიან მცირედნი არიან მოსაკუთრენი სახლებისა, ანუ სამრეწველო-სავაჭრო დაწესებულებათა. სამ რიგად დაყოფის წესი ამომრჩეველთა ქალაქის მართვა-გამგეობის საქმეს ხელში უგდებს მხოვრებთა მცირე ჯგუფს, ისეთს ჯგუფს, რომელიც იშვიათად ჰგრძნობს ქალაქის საზოგადო ინტერესებისთვის ზრუნვის საჭიროებას. ყველამ იცის, რა ცოტანი არიან პირველისა და მეორე რიგის ამომრჩეველნი, რა ცოტაა აგრეთვე საერთო რიცხვი ამომრჩეველთა ქალაქის მცხოვრებთა საზოგადო რიცხვთან შედარებით. ზოგიერთს ქალაქში, მაგალითად, სადაც 150 ათასი მცხოვრებელია, ამომრჩეველთა რიცხვი 4 ათასს არ აღემატება. ამათში $^7/_8$ მესამე რიგის ამომრჩეველთ ეკუთვნიან. ეს იმას ჰნიშნავს, რომ 653 ამომრჩეველნი პირველისა და მეორე რიგისანი ირჩევენ საბჭოსათვის 48 კაცს, ხოლო დანარჩენნი 3,409 ამომრჩეველი მესამე რიგისა მხოლოდ 24 ხმოსანს. ზოგან ქალაქში კიდევ პირველ და მეორე რიგის ამომრჩეველთა რიცხვი 320 კაცია, მესამესი-კი—$2^1/_2$ ათასი და ასე ამ რიგად. არის ისეთი სამაზრო ქალაქებიც-კი, სადაც ამომრჩეველნი პირველის რიგისანი 24 კაცზე ნაკლებნი არიან და 24 კაცი-კი უნდა აირჩიონ. აი სადამდე მიდის ის უხერხულობა, რომელიც მოსდევს შედეგად ამომრჩეველთა დაყოფას სამ რიგად.

ეს საარჩევანო წესი, მიმოხილვის ავტორის აზრით, შემოღებულია რუსეთში პრუსიის წაბაძვით და აი რა მოსაზრება ჰქონიათ შემომღებთ სახეში: უფიქრნიათ, რომ სამართლიანობა იქნება ცალკე დავაყენოთ ის ამომრჩეველნი, რომელნიც უფრო მეტს ფულს იხდიან ქალაქის სასარგებლოდაო. მაგრამ რა გამოვიდა აქედამ? არის ისეთი ქალაქები, სადაც უმეტესი ნაწილი პირველ რიგის ამომრჩეველთა თუმანზე ნაკლებს იხდის წელიწადში ქალაქის სასარგებლოდ. არის ისეთი ქალაქებიც, სადაც არც ერთი ამომრჩეველი პირველის რიგისა არ იხდის ერთს თუმანზე მეტს. ამისთანა ქალაქებში მეორე რიგის ამომრჩეველნი ხშირად თითო მანათს და მანეთზე ნაკლებსაც იხდიან. რა არის ამისი მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ ქალაქის უმთავრესი შემოსავალი და წყარო ის საქალაქო გადასახადი-კი არ არის, რომელსაც იღებენ სახეში, როცა ჰყოფენ ამომრჩეველთ სამ რიგად, არამედ ის ფულია, რომელსაც იღებს ქალაქი თავის მამულების და სხვა-და-სხვა იჯარებისაგან და სხვ. ზემოხსენებულის წესის შემოღებით უფიქრნიათ კიდევ, რომ ვინც მეტს იხდის ქალაქის სასარგებლოდ, ისინი ალბად მეტსაც იზრუნებენ ქალაქის საქმეებისათვისაო. რომ ის ხმოსნები, რომელთაც აირჩევენ პირველისა და მეორე რიგის ამომრჩეველნი, უფრო მუყაითად შეასრულებენ თავიანთს მოვალეობასაო. მაგრამ ეს ფიქრიც არ გამართლდა. გამოცდილებით აღმოჩნდა, რომ თუ ზოგან ოდნავ მეტს მუყაითობას იჩენდნენ პირველისა და მეორე რიგის ამორჩეულნი მესამე რიგის ამორჩეულებზე, სამაგიეროდ ზოგან ეს უკანასკნელნი ბევრად მეტს მუყაითობას იჩენენ და მეტის გულმოდგინეობითაც ესწრებიან ხმოსანთა კრებას. დროა მივხვდეთ, რომ ხმოსანთა გულ-მოდგინეობის საბუთი და თამასუქი ის-კი არ არის, ვინ რამდენს იხდის საქალაქო გადასახადს, რადგან ამ გარემოებას მცირე მნიშვნელობა აქვს და დამოკიდებულია გადასახადის მძლეველის ქონების მეტ-ნაკლებობაზე, არამედ მეტ-ნაკლებობა საზოგადო საქმის სიყვარულისა, რომელიც ყოველთვის იმდენად უფრო მეტი აქვს ამომრჩეველს და ამორჩეულს, რამდენადაც განათლებულია გონებითა და ზნეობით.

ქონებრივი ცენზი მიაჩნიათ ზოგჯერ ასე თუ ისე იმის საბუთად, რომ ვითომ ვისაც ეგ ცენზი აქვს, განათლებულიც იქმნება ცოტად თუ ბევრად, ან არა-და უნარი მაინც ექმნება საზოგადო მოღვაწეობისაო. ვინ იცის, იქნება ესეცა ჰქონდათ სახეში ამომრჩეველთა სამ-რიგად დაყოფის წესის შემომღებლებსაც. მაგრამ ეს მოსაზრებაც არ გაამართლა ცხოვრებამ. განათლებულები ძალიან ნაკლებად არიან ხოლმე პირველის რიგის ამომრჩეველთა შორის; ამ მხრით უფრო მდიდარია ხოლმე მეორე და მესამე რიგი ამომრჩეველთა. არა იშვიათია ისეთი მაგალითიცა, რომ პირველ რიგის ამომრჩეველებში ურევიან სრულიად უცოდინარნი წერა-კითხვისაც-კი. ზოგან უმრავლესობა მათი სულ ასეთნი არიან. ერთის სიტყვით, გამოდის, რომ ასეთს წესს არჩევანებისას არავითარი საფუძველი და სიმართლე არა აქვს. გამოდის, რომ სრულიად უსამართლოდ აქვს მინიჭებული უმეტესი უფლება ორს მცირე ჯგუფს ქალაქის მცხოვრებლებისას, რომელიც არაფრით არა სდგას მაღლა დანარჩენს უმრავლესობაზე და რომელსაც არავითარი უფლება არა აქვს ხელმძღვანელი იყოს და ბატონობდეს ქალაქის საქმეების მართვაში.

ვისთვის არის უფრო სასარგებლო ასეთი საარჩევანო წესიო?—კითხულობს ბოლოს ავტორი ზემოხსენებულის მიმოხილვისა. რასაკვირველია სასარგებლო უფრო ვაჭრებისათვის და მოქალაქეთათვის, რომელიც ამ ვაჭრებთან არის დაახლოვებული და მასთან ერთად მომქმედი. განათლებულ კაცთა სიმცირეს საბჭოში მოსდევს უზრუნველობა და დაუდევრობა ქალაქის საქმეთა წარმოებაში, სიმცირე ქალაქის შემომოსავლისა, უსარგებლო ხარჯი და სხვ. რადგან უმრავლესობას ცოტა ჰყავს თავისი წარმომადგენელნი საბჭოში, ამიტომ ქალაქის ქონებას ისე ხმარობს საბჭო, როგორც უფრო სახეიროა შეძლებულის უმცირესობისათვის, თუნდა ასეთი მოხმარება საზარალო იყოს კიდეც ქალაქის კასისათვის. ამას გარდა, მამულებს ნაკლებად აფასებენ, რომ დასაფასებელი გადასახადი მცირე იყოს, რადგან მეტად დაფასება მამულებისა საზარალოა დიდის სახლების პატრონთათვის; ქალაქის საძოვრები და სახნავ-სათესი მიწები ეძლევა იჯარით იმათ-კი არა, ვისაც უფრო ძლიერ უჭირთ, არამედ იმათ, ვისაც შეუძლიანთ ერთბაშად ბევრი და დიდი ნაჭრები აიღონ იჯარით; შუათანა სწავლა-განათლებისათვის ბევრი იხარჯება მაშინ, როდესაც პირველი დასაწყისი სწავლა რიგიანად არ არის მოწყობილი. რასაკვირველია, ყველგან ასე არ არის. ზოგან ძალიან კარგად მიდის საქმე ქალაქის თვით-მმართველობისა, მაგრამ საზოგადოდ-კი, საერთო სურათის ფერი და იერი სწორედ ისეთია, როგორც ჩვენ ვამბობთ.

ამ სახით, ეჭვი არ არის, რომ რიგიანი რეფორმა საქალაქო თვით მართველობისა მოუხერხებელია უიმისოდ, თუ ძირეულად არ შეიცვალა ის ვითარება, რომელიც გარს არტყია არჩევანების წესს. შემდეგ ავტორს მიმოხილვისას განხილული აქვს სხვა-და-სხვა პროექტები იმისი, თუ როგორ უფრო სასურველია, რომ შეცვლილ იქმნას საქალაქო დებულება.

◆◆

## წვრილი ამბები

ამას წინად სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ კლერმონფერრანში შემდეგი ამბავი მოხდა. ერთს ღარიბს, საწყალს კაცს მ—ს თხა ჰყავდა, რომელიც ისეთ ნაირად იყო შეჩვეული პატრონთან, რომ სადაც-კი წავიდოდა, თხა სულ თან დასდევდა. ეხლახან ამ კაცმა ქუჩაზე ბილეთი იპოვნა შემნახველ კასსისა ვილას ქალბატონ პ—სი; გასწია მაშინვე პოლიციაში გამოსაცხადებლად, რომ აი ბილეთი ვიპოვნეო. გამოაცხადა, მაგრამ როცა ჯიბეში ხელი ჩაიყო, ბილეთი ვეღარ მოიხელა, მობრუნდა და დაინახა, რომ თხას ამოეცლია და ჭლეჭავდა. მაშინვე მისწვდა, წაართვა, მაგრამ ბილეთი ნახევარზე მეტი შეჭმული იყო და პატარა ნახევები-ღა დარჩენილიყო. თხის პატრონი პოლიციის კომისართან გაექანა, რომ ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა და ბილეთის ნახევებიც წარუდგინა. ამ დროს გაჩნდა ბილეთის პატრონიც, ქალბატონი პ—სა. თხა როგორ შესჭამდა კასსის ბილეთსაო, გაიძახოდა და ითხოვდა, მიზღეთ ჩემი დანაკარგიო. მპოვნელი იფიცავდა, თხამ შეჭამა, მე არაფერს შუაში არა ვარო, მაგრამ ქალი თავისას არ იშლიდა: აბა თუ მართალს ამბობ, თხა დავკლათ და შევამოწმოთ, აქვს თუ არა მუცელში ქაღალდის ნაჭრებიო. პატრონს საშინლად შეჰზარა,

---

დათიამ თავის ქალს, მამა და შვილი მარტო რომ დარჩნენ.

— რა?

— ის, რომ გაქლენთილი იყო არყით, უეჭველია შეიტყობდა, რომ მაგის ამხანაგმა ნიკომ წითელი ქუდი მიიღო და ახალს სადგურზე გადაიყვანეს უფროსის თანაშემწეთ. ეგ იყო წარდგენილი და იმან-კი აჯობა... გასამტყუნარი არ არის, ჯავრს რა არ შეუძლიან.

— რას ამბობ, მამავ! ნიკომ წითელი ქუდი მიიღო? მერე როდის?

— დღეს მატარებლით მოვიდა მოწერილობა.

საწყალი ტრიფონა! ახლა ნიკო რა გახარებული იქნება.

— რატომაც არ იქნება გახარებული. ხუმრობა საქმეა, ასე მალე წითელის ქუდის მიღება?..

მაგრამ იქ შემწევები ეყოლება და, რასაკვირველია, რომ წინ წასწევენ... ღმერთმა ყველას მშვიდობა მისცეს... მე როგორღაც მეძინება დღეს, ძალიან დავიღალე. ვახშმის შემდეგ დათია მაშინვე დაწვა და დაიძინა. დუსია? დუსიას არა სძინავს. ტრიფონა, ნიკოს წითელმა ქუდმა და მოულოდნელმა გამარჯვებამ, ჩრდილმა დაჰფარა. დუსია ეხლა ნიკოს ფიქრში იყო.

— ნიკოსაც ხომ მოვსწონვარ!.. როგორ არა, არა უთქვამს-რა-კი, მაგრამ განა ზედვე არ ეტყობა, რაცა აქვს გულში? კიდეც იმიტომ იყო გუშინ ისე მხიარულად. რაები არ მიამბო! რამდენი მაცინა. საშინელი მხიარული კაცია! რასაკვირველია, ნიკო ბევრად სჯობია ტრიფონას, მაგრამ რატომ იმან არ მითხოვა. იმას რომ ვეთხოვე, მაშინ უარს... ძილმა თავი წაართო და უცებ ჩაეძინა დუსიას.

—

ტრიფონამ ჯერ არ იცოდა ნიკოს ამბავი და იმიტომ გააკვირვა იმის სიმღერამ. ნიკო ახალმა ამბავმა ისე გაახარა, რომ მთელი ღამე უძილოდ გაათენა .. დაავიწყდა მთლად, რომ ღამის 4-ს საათზე სადგურის მორიგის გამოსაცვლელად უნდა წასულიყო. მთელი ღამე მღეროდა, ოთახში დახტოდა, მაგრამ მაინც ვერ იჯერა გული. უცებ ფანჯარაში თავის თანამოსახლე სადგურის უფროსის თანაშემწის წითელი ქუდი შენიშნა. აი! წამოიძახა ნიკომ და აიღო ქუდი, კრილოვის მაიმუნსავით ესიყვარულებოდა და ეარშიყებოდა ამ წითელს ქუდს.

— ეხლა გათავებულია! ამ წითელს ქუდს... დუსია-ღა აკლია! დუსიაც, და შევუდგები ჩემს ახალს თანამდებობას... განა არ ვიცი, რომ დუსია უარს არ მეტყვის. არა, რად უნდა მითხრას? ნიკო ისევ წამოხტა, მივარდა წითელს ქუდს და სარკის წინ დაიხურა. რა მიჭირს! საუცხოვოდ მიხდება! არა! სწორედ დახურვა არ ვარგა! ცოტა გვერდზე, ჰო, ესე!.. დიაღ, ასე სჯობია...

ოთახის კარების რახუნმა ნიკოს სიამოვნება შეაწყვეტინა. მსახური ეძახდა, ღამის მორიგის გამოცვლისთვის გიბარებენ სადგურზეო. წინად ნიკო თუ ზანტად ირჯებოდა, დღეს სიხარულით გაექანა სადგურისკენ.

—

ერთი კვირა გავიდა. ნიკო ახალს ადგილას გადასახლდა. აქედგან წერილით დათიას დუსია სთხოვა. დათიამაცა და დუსიამაც თანხმობის პასუხი მისწერეს. მარხვა მოესწროთ და მოუთმენლად ელიან გახსნილებას.

ტრიფონა? მეორე დღეს შეიტყო თუ არა ნიკოს გამარჯვება, სადგურს აღარ მიჰკარებია. სამი დღე სადგურის მახლობლად დუქანში ლოთობდა. მეოთხე დღეს სადღაც მიიმალა. ერთის კვირის შემდეგ სადგურის მოსამსახურეებმა შეიტყეს, რომ ტრიფონა სადგურის მახლობელ სამაზრო ქალაქში გარდაიცვალა და სამადლოდ დაასაფლავესო. არყით გალეშილს ქალაქის განაპირ დუქნის ოთახში დამბაჩით მოეკლა თავი. სადგურზე ისიც შეიტყეს, რომ დუსიამ ტრიფონასაგან წერილი მიიღოვო.

აი რასა სწერდა ტრიფონა:

„საუკუნოდ დაუვიწყარო დუსიავ! ამ წერილს რომ მიიღებ, მე სააქაოს აღარ ვიქნები. შენი თავი გამომაცალა ბედმა. ამ ქვეყნად სახარბიელო, სასიცოცხლო აღარა დამრჩენია-რა. წითელს ქუდზედ იყო დამოკიდებული ჩემი ცხოვრება, წითელმა ქუდმა გამომაკლო შენთან ბედნიერებას, წითელმა ქუდმა მომიშხამა სიცოცხლე და წითელმა ქუდმავე ამაღებინა თავზედ ხელი და ჩემი ახალგაზდობა სასიკვდილოდ გამომეტებინა. ვაი იმ ქვეყანას, სადაც კაცის ავ-კარგიანობა, ქუდის სიწითლესა და სიყვითლეზეა დამოკიდებული, მაგრამ რას იზამ, ასეა და ვინც შეურიგდება, უნდა შეურიგდეს ამ ქვეყნის უკუღმართს კანონს, ვინც არა-და— მისი სავანე იქ არის, სადაც მართალნი განისვენებენ. იქ, სადაც უსამართლობა არიგებს წითელს ქუდს, სამართლიანობას არ დაედგომება და აკი ვერც დავდექი. მივდივარ და ღმერთსა ვსთხოვ, რომ ამ უსამართლობამ შენს ცხოვრებას არავითარი ლაქა არ მოაცხოს და ბედნიერება არაფრით მოგიშხამოს!..

შენი ტრიფონა.“

ი. კახელი

თხის დაკვლა რომ გაუხსენეს, მაგრამ რას იზამდა: თუ თავის გამართლება უნდოდა, უამისოდ არ მოხერხდებოდა საქმე. პ—მ პირობა დაუდო, თუ მართალი გამოსვალ, თხის ფასს გადაგიხდიო. წამოაქციეს საწყალი ალალმართალი თხა და გამოფაშვეს. თხის პატრონი მართალი გამოდგა, თხას მართლა უპოვნეს ქაღალდის ნაჭრები, მაგრამ ქალბატონმა პ—მ არც ეს იკმარა, ახლა სასამართლოში დაიწყო ჩივილი, მალათი შეაჭამა ბილეთი თხასაო. სასამართლომ პ—ს საჩივარი არ შეიწყნარა და თხის ფასიც-კი გადაახდევინა პატრონის სასარგებლოდ.

— მონაკოს პოლიციის კომისარმა დე რუდემ თავი მოიკლა. ეს კაცი იმითია შესანიშნავი, რომ სიცოცხლის დროს თავის მკვლელების წინაამდეგი იყო; როცა ვინმე მოიკლავდა თავს, ჩუმად ჯიბეში ბანკის ბილეთებს ჩაუდებდა ხოლმე, რომ არავინ იფიქროს, სიღარიბის გამო მოიკლა თავიო.

— ნიუიორკში გამოჩენილი მდიდარი დანიელ ფეიერვიტერი გარდაიცვალა და 4,200,000 მ. 20 სემინარიას უანდერძა და 190,000 მანათიც ნიუიორკის სამკურნალოს.

— უკანასკნელ არჩევანების დროს რუმინიაში ბრაშენტის ქალაქის თავად ქალი ამოირჩიეს. ამ დღეებში ეს ქალი შინაგან საქმეთა სამინისტროში მივიდა ამბის შესატყობად, დამამტკიცეს თუ არა ქალაქის თავადაო. კანცელარიის დირექტორს საშინლად გაუკვირდა, როცა შეიტყო, რომ ეს ქალი ადრევ მანზალიაშიაც ყოფილა ქალაქის თავად.

— ამ დღეებში ქალაქ ბორდოს ორი ახალგაზდა ამერიკელი მივიდა, რომელთაც ჭსურთ ორ-თვლიანის ველოსიპედებით დედამიწას შემოუარონ. ეს მოგზაურები 20 ივნისს წამოვიდნენ ნიუიორკიდგან, გამოიარეს ინგლისი, შოტლანდია, ირლანდია, შემდეგ დიეპპიდგან პარიჟზე გამოიარეს ველოსიპედებით და ისე მოვიდნენ ბორდოში. ბორდოდგან აღმოსავლეთისკენ აპირობენ გამგზავრებას, გადავლენ სევენის მთებზე გაივლიან იტალიას, ავსტრიას, ოსმალეთს, მცირე აზიას და სპარსეთს და იქ იმედი აქვთ შაჴი გვინახულებსო. აქედგან პირდაპირ ჩინეთში წავლენ, სადაც მოგზაურობა ყველაზე უფრო გასაჭირია უცხოელთათვის და როცა ამ ქვეყანას გაალწევენ და იაპონიაში მივლენ, იქიდგან დიდს ოკეანეს გემით გადაივლიან და სანფრანცისკოში გადმოხტებიან, ხოლო იქიდგან-კი ისევ ველოსიპედებით მივლენ ნიუიორკამდე.

◆◆

## პეტერბურგის ბირჟა, 11 დეკემბერი.

| | მყიდველნი. მან. კ. | | გამყიდველნი. მან. კ. | | გაყიდულნი. მან. კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7 | „ | 7 | 03 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 14½ | „ | 141 | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 | 07 | 1 | 10 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | „ | — | „ | 239 | |
| —მეორისა . . . . | — | „ | — | „ | 218½ | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | — | „ | — | „ | 211¾ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | — | „ | — | |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მიბაძვა ქრისტე'ი წიგნი III—IV ყდით . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 25 |
| საგულისხმიერო აზრები ვეფხვის ტყაოსნიდამ. . | „ | 10 |
| სამი ისტორიული ხრონიკა ე. თაყაიშვილისა. . . | 1 | „ |
| თხზულებანი რ. ერისთავისა II ნაწ . . . . | „ | 40 |
| კედლის კალენდარი 1891 წლისა . . . . . | „ | 40 |
| ქართული წერის დედანი და ხატვის ნიმუშები ს. დათეშიძისა . . . . | „ | 25 |
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ . . . | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძველის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რაჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . | „ | 10 |

Изданія

**на 1891 годъ.**

ГОДЪ 2-Й

**ОТКРЫТА ПОДПИСКА**

на ежедневную

# „МОСКОВСКУЮ ИЛЛЮСТРИРОВАННУЮ ГАЗЕТКУ“

съ безплатными литературными и художественными приложеніями.

**ЕДИНСТВЕННОЕ и ПЕРВОЕ ВЪ РОССІИ ЕЖЕДНЕВНОЕ** иллюстрированное изданіе, выходящее въ форматѣ **БОЛЬШИХЪ** ежедневныхъ газетъ.

Существующія нынѣ ежедневныя изданія даютъ рисунки и иллюстраціи въ ограниченномъ количествѣ, **„Московская Иллюстрированная Газетка“** даетъ ихъ

**50**

ПРИЛОЖЕНІЙ ВЪ ГОДЪ,

25 въ полгода, 4 въ мѣсяцъ.

**ЕЖЕДНЕВНО**; кромѣ этого **„Моск. Иллюстр. Газетка“** даетъ въ теченіе года **ПЯТЬДЕСЯТЪ** безплатныхъ литературныхъ и художественныхъ **приложеній и БОЛЬШУЮ** художественно-исполненную **КАРТИНУ** извѣстнаго художника. **Всѣ** подписчики получатъ **БЕЗПЛАТНЫЯ** литературно- художественныя **приложенія**.

Подписавшіеся на 1891 годъ получатъ кромѣ **„ГАЗЕТКИ“** до 50 выпусковъ ПРИЛОЖЕНІЯ и **БОЛЬШУЮ КАРТИНУ**, подписавшіеся на полгода получатъ до 25 вып., на 3 мѣсяца до 12 вып., на 1 мѣсяцъ до 4 выпусковъ прибавленія.

**Приложенія** состоятъ изъ беллетристическихъ произведеній, роскошно иллюстрированныхъ; каждый выпускъ состоитъ изъ 16 стран. текста и 5—10 рис.

Разсрочка подписной платы:

Для готовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 2 руб. и въ слѣдующіе мѣсяцы по 1 рублю, до уплаты подписной суммы.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА СО ВСѢМИ ПРИЛОЖЕНІЯМИ.

| | безъ дост. | съ дост. и перес. |
|---|---|---|
| на годъ . | 7 р.—к. | 8 р.—к. |
| на полгода | 4 „—„ | 5 „—„ |
| на 3 мѣс. | 2 „50„ | 3 „—50„ |

Адресъ: Москва. Гнѣздниковзкій пер., домъ Мартыновой.

Разсрочка подписной платы:

Для полугодовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 1 р. и въ слѣдующіе мѣсяцы по 1 р.

Для подписавшихся на 3 мѣс.: при подпискѣ 1 р. 50 к. и въ слѣдующіе мѣсяцы по 1 р.

(3—3)

Редакторъ издатель **Н. Соѣдовъ.**

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

გამოვა 1891 წელსაც, ორ თვეში ერთხელ, იმავე პროგრამმ-ით, როგორც ამ წელს.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება.

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8)

2) ქუთაისში—ევ. ნიკოლაძისას.

3) გორში—ევ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*

(5—4) რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

# კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია **1373** წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Séguin, Bordeaux, rue Croix de Ségucy.

(208—67)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვეით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | | 5 „ . . . | 5 „ 25„ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | | 4 „ . . . | 4 „ 70„ | |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | | 3 „ . . . | 3 „ 50„ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | | 2 „ . . . | 2 „ 50„ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | | 1 „ . . . | 1 „ 75„ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმაელობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. цен. Тифлисъ, 13-го Декабря 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С.А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. у. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე